



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაბახუა არქიფო მირონის ძე



ა. ლაბახუა

დეპუტატი.

ლაბახუა არქიფო მირონის ძე (15. V. 1910, სოფ. რეკი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი, - 28. XII. 1992, თბილისი), აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1953-57). აფხაზეთის ასსრ-სა და საქ. სსრ დამს. ინჟინერი. 1936 დაამთავრა სტალინის სახ. მოსკოვის სამთო ინ-ტი მაღაროთა მშენებლობის სპეციალობით. 1936-53 მუშაობდა ტყვარჩელის მაღაროთა სამმართველოში. 1959-75 იყო საქართვე. მინისტრთა საბჭოს თავ-რის მოადგილე მშენებლობის დარგში; 1976-იდან - საქ. სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის უფროსი მრჩეველი, 1954-58 - საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; 1951-59 - აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს სამი მონწევისა და 1959-80 - საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს ხუთი მონწევის

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.
